



დამტკიცებულია

შპს.გათუმის სამედიცინო აკადემიის
დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის
№ 7968 ბრძანებით



*პროფესიულ
საგანმანათლებლო პროგრამაზე
ჩარიცხვის წესი და პირობები*

ქ.გათუმი
2024 წელი

**აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
ჩარიცხვის წესი და პირობები**

კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2024 წლის 24 ივნისის №110/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პსპ ჩარიცხვის წესისა და პირობების“ საფუძველზე ბათუმის სამედიცინო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის მიერ სწავლის უფლების მოპოვება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებული წესითა და პირობებით.

ზოგადი დებულება, ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები ადგენს პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურას

მუხლი 2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებული წესი მიზნად ისახავს პსპ პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირებას. (ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით).

2.2. წესი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

მუხლი 3.1. აპლიკანტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად სასწავლებელი ახდენს დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას. იგი ითვალისწინებს:

ა. გააცნოს დაინტერესებულ პირს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები.

ბ. მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ.

გ. მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს რეგისტრაციაში

3.2. სასწავლებელი იღებს ვალდებულებას დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი სერვისების შესახებ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობა, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობა და სხვა).

3.3. კონსულტირებას ახდენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საჭიროების და მიხედვით სხვა სამსახურების ჩართულობით.

3.4. კონსულტირებისათვის დაუშვებელია საფასურის გადახდა.

3.5. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა. დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება.

ბ. აპლიკანტთა რეგისტრაცია

გ. აპლიკანტთა შერჩევა

- დ. აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა
- ე. შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება სტუდენტის სტატუსი.
- ვ. არსებობის შემთხვევაში თავისუფალი ადგილების შევსება.

მუხლი 5. პსდ მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

5.1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით მითითებულ ვადებში, სასწავლებელი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ სასწავლებლის მიმართა დაწყებულია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება და პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭებათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, სასწავლებელს უფლება აქვს, აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისთვის ხელახლა დადგენილ ვადაში უზრუნველყონ ახალ პროგრამებზე მიღების გამოცხადება ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში.

5.3. ანკეტა-კითხვარში აისახება ინფორმაცია სასწავლებლის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ

5.4. მისაღები პროფესიული სტუდენტის ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპით:

ა. პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას.

ბ. აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად (ანკეტა-კითხვარების შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით).

გ. დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამრთველბრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

5.5. მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში.

5.6. სასწავლებელი უფლებამოსილია რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 6. აპლიკანტის რეგისტრაცია

6.1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტი გადის რეგისტრაციას სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება მისი რეგისტრირება.

6.2. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. მასში აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე აპლიკანტის პერსონალური მონაცემები გროვდება ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ვერიფიკაციის გზით.

6.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის მიზნებისთვის მართვის სისტემა უფლებამოსილია, სარეგისტრაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის ან/და მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობის/კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სტატუსის არსებობის ფაქტის დადგენის/გადამოწმების მიზნით, მიიღოს და დაამუშავოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული, ფიზიკური პირის შემდეგი პერსონალური მონაცემები:

- ა) სახელი, გვარი;
- ბ) პირადი ნომერი;
- გ) დაბადების თარიღი;
- დ) სქესი; ე) მოქალაქეობა;
- ვ) რეგისტრაციის მისამართი;
- ზ) ფოტოსურათი

6.4. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაგეგმილ ვადაში.

6.5. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6.6 რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

6.7 პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.

6.8. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემის ასახვა გახდება ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6.9. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

6.10. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისათვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

6.11. მართვის სისტემა უფლებამოსილია აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნებისთვის, რეგისტრაციის პროცესში პირის ვერიფიკაცია განახორციელოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით

6.12 მართვის სისტემა აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვის მიზნით, ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

6.13 ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

6.14 აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 7. აპლიკანტის შერჩევა

7.1. აპლიკანტის შერჩევა ნიშნავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის შეფასებას.

7.2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

7.3 შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა ამ წესის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 8. აპლიკანტის შერჩევა საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებზე

8.1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:

- ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
- ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
- გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
- დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
- ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
- ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

8.2. თითოეულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის შეფასების თარიღი განისაზღვრება სასწავლებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება საინფორმაციო სისტემაში და ასევე განთავსდება სასწავლებლის ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

8.3. დაწესებულება იღებს ვალდებულებას ამ მუხლის 8.2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ფორმით.

8.4 შესარჩევი და სააპელაციო კომისიები კომპლექტდება როგორც სასწავლებლის ასევე პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებით.

8.5. სასწავლებელი ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტის შეფასების შედეგებს.

8.6. შერჩევისას მოხდება აპლიკანტის დიფერცირებული შეფასება. რომელიც განისაზღვრება სასწავლებლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

8.7. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

8.8 თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.

8.9. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.10. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

8.11. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

8.12. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

- ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
- ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის 5.6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

8.13. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8.14 აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე. თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გარეშე არ დაიშვება შერჩევაზე.

მუხლი 9. შერჩევა შეფასება უმაღლეს ჰსპ

9.1. შერჩევა შეფასება უმაღლეს ჰსპ ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შერჩევა (შეფასება) ხორციელდება სსიპ-შეფასებისა და გამოცდის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული

ტესტირების საფუძველზე. შერჩევის ჩატარების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9.2. სასწავლებელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ასევე შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელებიც არეგულირებს:

- ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
- ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
- გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
- დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
- ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
- ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
- ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

9.3. შეფასების დამატებითი მექანიზმების ამოქმედების შემთხვევაში თითოეულ უმაღლეს პსპ-ზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი განისაზღვრება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით. სასწავლებელი ვალდებულია, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში, განათავსოს სასწავლებლის ვებგვერდზე და აცნობოს აპლიკანტს.

9.3.1. შესარჩევი (შეფასების) და სააპელაციო კომისია დაკომპლექტდება აკადემიის, ასევე პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებით.

9.3.2. შეფასების დამატებითი მექანიზმების ამოქმედების შემთხვევაში სასწავლებელი ახორციელებს დიფერენცირებულ შეფასებას. პსდ განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

9.4. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი

9.5. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-9.4 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დაწესებულება უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე

9.6. მართვის სისტემა, შესაბამისი პროგრამებისათვის ადგენს რეიტინგულ სიას, ტესტირების, (არსებობის შემთხვევაში, - სასწავლებლის შეფასების საბოლოო მდგომარეობის) სოციალური სტატუსისა და განათლების მიღებული დონის გათვალისწინებით. რომელსაც ამტკიცებს მართვის სისტემის უფროსი, გამოიცემა ბრძანება.

9.7. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.

9.7.1. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში, საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულა 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

9.8. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით.

ა. იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება.

ბ. იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება

9.9. თუ აპლიკანტის რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომლებსაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

9.10. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთ და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნომერაცია გაგრელდება თითოეული ადგილისათვის თანაბარ ქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

9.11. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა. დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

მუხლი 10. ტესტირება

10. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი.

მუხლი 11. ტესტირების შინაარსი

11.1 უმაღლეს პსპ სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.

11.2 ჩასაბარებელი ტესტების შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ა(ა)იპ – პროფესიული უნარების სააგენტოს წარდგინებით, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11.3 სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:

ა) წიგნიერებაში;

ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).

11.4 თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი აბარებს ამ ტესტის ყველა ტიპს

მუხლი 12. ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

12. 1. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.

12.2. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას და საგამოცდო ცენტრების შერჩევას.

12.3 მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს იმ აპლიკანტებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილებაში, ტესტი გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა არაუმეტეს 20-ისა) ან/და ტესტირების დროის გახანგრძლივება (არაუმეტეს გაორმაგებული დროისა).

მუხლი 13. საგამოცდო ცენტრების შერჩევა და აპლიკანტთა განაწილება

1. ტესტირების დაგეგმვის მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში საგამოცდო ცენტრების შერჩევას, რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

2. ცენტრი რეგისტრაციის დასრულებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემასთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს შერჩეული საგამოცდო ცენტრების შესაბამისად აპლიკანტთა განაწილებას და მართვის სისტემის ინფორმირებას. ამ მიზნით:

ა) მართვის სისტემა რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ტესტირების ჩატარებამდე 10 დღით ადრე ცენტრს ელექტრონული ფორმით აწვდის ინფორმაციას საგამოცდო ცენტრებისა და რეგისტრირებული აპლიკანტების შესახებ, სასურველი საგამოცდო ქალაქის/მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობისა და მათ მიერ ჩასაბარებელი ტესტის ტიპის/ტიპების მითითებით;

ბ) ცენტრი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე ინფორმაციას (აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგამოცდო ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საგამოცდო ცენტრის მისამართი, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ენა, ტესტირების ჩატარების დრო).

3. სამინისტრო, ტესტირებამდე 7 სამუშაო დღით ადრე, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას იმ აპლიკანტთა თაობაზე, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილებაში, ტესტი გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა არაუმეტეს 20-ისა) ან/და ტესტირების დროის გახანგრძლივება (არაუმეტეს გაორმაგებული დროისა). მართვის სისტემა, მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს ამ მონაცემების ცენტრისთვის მიწოდებას ელექტრონული ფორმით.

მუხლი 14. . საგამოცდო ბარათი

14.1 თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი.

14.2. საგამოცდო ბარათში, პირის იდენტიფიცირების მიზნით, მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის შემდეგი პერსონალური მონაცემები – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და აპლიკანტის ფოტოსურათი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპლიკანტის ფოტოსურათი აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე ფიქსირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ბარათში ასევე მიეთითება ის

საგამოცდო ცენტრი, სადაც აპლიკანტი გაივლის ტესტირებას, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მუხლი 15. ტესტირების პროცესი

15.1. ტესტირების პროცესი (მათ შორის, ტესტირების მიმდინარეობასთან და ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.

15.2. აპლიკანტმა ტესტირებაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან საგამოცდო ბარათს.

მუხლი 16. შედეგები

16.1 რეიტინგული სიის შედგენის მიზნით:

ა) ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა ტესტირების შედეგებს;

ბ) დაწესებულება, ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით შერჩევისთვის განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში

მუხლი 17. საბოლოო არჩევანი და შედეგების გამოცხადება

17. 1. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, ამ წესის მე-8 მუხლის 8.12 პუნქტის „ბ“, მე-9 მუხლის 9.11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის 19.10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.

17.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს მართვის სისტემა უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულისა და მისი საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით

17.3. აკადემიაში აპლიკანტები ჩარიცხება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რეიტოობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

17.4. სამუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა). 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ). პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

17.5. სასწავლებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება წესი, რომელიც განსაზღვრავს:

ა). აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;

ბ). დოკუმენტების წარდგენის ფორმას;

გ). დოკუმენტების წარდგენის ვადებს;

დ). ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველებს;

ე). ხელშეკრულების გაფორმების პირობებს და ვადებს;

ვ). სხვა საკითხებს სასწავლებლის გადაწყვეტილებით.

17.6. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

17.7. დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

17.8. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა). დადგენილი წესის საფუძველზე სასწავლებლის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ). აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

გ). აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.

17.9. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისათვის.

17.10. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, სასწავლებელს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილის ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

17.11. თუ ამ მუხლის მე-17.10 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს სასწავლებლის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ადგილებისათვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

17.12. სასწავლებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 18. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

18.1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:

- ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20¹³ მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

18.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრავს დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

18.3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

18.4. მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან.

18. 5. ამ მუხლის 18.2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას სასწავლებელი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

18. 6. საწავლებელი ამ მუხლის 18.2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის წესისა და პირობებით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

19.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომ – რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას; ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
- გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
- დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
- ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
- ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
- ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

19.2. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განსაზღვრავს დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში. სასწავლებელი აღნიშნულ ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

19.3. საწავლებელი ამ მუხლის 19.2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღის/თარიღების შესახებ აცნობებს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით.

19.4. შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების მონაწილეობას.

19.5. სასწავლებელი, ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

19. 6. დაწესებულება განსაზღვრავს დიფერენცირებულ შეფასებას და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

19. 7. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.

19. 8. სასწავლებელი რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

19.9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

19.10. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის 5.6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

19. 11. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 20. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა კსპ ჩარიცხვა

20. 1. ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, ეს თავი განსაზღვრავს პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის წესს.

20.2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის 20. 4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

20.3. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

20.4. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

20.5. სასწავლებელი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

20.6. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, სასწავლებელს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

20.7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, დაწესებულება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას მათთვის ჩარიცხვის უფლების მინიჭების შესახებ და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

20.8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სასწავლებელი:

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

ბ. გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

გ. სასწავლებელი ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების შესახებ მონაცემებს ამ წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 21 უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა

21.1. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება სასწავლებლის მიერ დადგენილი წესით, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ამ წესით განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურისგან განსხვავებულ ვადებსა და ეტაპებს.

21.2. დაწესებულების მიერ უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილი პირობები და პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმებას, ასევე პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

21.3. სასწავლებელი უფლებამოსილია უცხოენოვან პროგრამაზე შერჩევა განახორციელოს პროგრამის განხორციელების ენაზე.

21. 4. უცხოენოვანი პროგრამა არ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის განხორციელების ენის, ასევე იმ მოდულების სწავლებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

21.5. სასწავლებელი უცხოენოვან პროგრამაზე მიღებას აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:

- ა) მისაღები პროგრამების ჩამონათვალი და ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;
- ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
- გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების პირობები;
- დ) სასწავლებლის მიერ დადგენილი სხვა პირობები.

21.6. ამ მუხლის 21.5 პუნქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, სასწავლებელი კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და განათავსებს ოფიციალურ ვებგვერდზე.

21.7. სასწავლებელი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

22.1 2024 წელს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

- ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:
 - ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;
 - ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით; ა.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
 - ბ) სასწავლებელი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით

დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, სასწავლებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

22.2. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესარჩევა ხდება პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას. პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლები განსაზღვრავენ აპლიკანტის მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეებს .

22.3. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს.

22.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

22.5. 2024 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.

22.6 . თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2024 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და სასწავლებელში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სასწავლებლის მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.